

BAG

ინდუქსია

დასაქმების
ბარომეტრი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich




Research

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ¹.

2022 წლის I კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 24.9 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია როგორც 2021 წლის I კვარტალთან შედარებით (10.2 ქულით), ასევე, წინა - 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით (4.4 ქულით).



გრაფიკი 1: BAG დასაქმების ბარომეტრი





2022 წლის I კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა ყველა სექტორში, მშენებლობის გარდა (12.5 ქულით შემცირდა). ხოლო 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, 2022 წლის I კვარტალში, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში გაუმჯობესდა, მომსახურების გარდა (იხილეთ გრაფიკი 2).

2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს ამ სექტორებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.


¹ კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	21.6	25.0	32.4
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6	34.8	-2.3	11.1	15.6
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6	33.3	21.4	21.4	29.4
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	27.3	50.0	37.5
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	11.7	20.5	24.9



გრაფიკი 2: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით



კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge